



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 7 14 00060070

07/02/2014

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს
ადმინისტრაციულ დირექტორს ქალბატონ ეკა გიგაურს
მის: თბილისი, რუსთაველის გამზ. 26, მე-3
სართული

ქალბატონო ეკა,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2014 წლის 6 თებერვლის N03-2009 განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის N59708, 07.02.2014) პასუხად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად გაცნობებთ, რომ იგივე შინაარსის მოთხოვნა სამინისტროში უკვე წარმოდგენილი გქონდათ 2014 წლის 16 იანვრის N03-1981 განცხადებით (სამინისტროში რეგისტრაციის N18672, 20.01.2014). აღნიშნული კორესპონდენციის თაობაზე სამინისტროს მიერ მომზადებული პასუხი გეცნობათ (და მოთხოვნილი ინფორმაცია მოგეწოდათ) 2014 წლის 24 იანვრის N31679 წერილით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად გაცნობებთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ ამავე კოდექსის 47-ე მუხლის რეგულაციებით დადგენილ ღონისძიებებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას შემდგომ თანამშრომლობაზე.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32)2 31 89 40

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი /
საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულად
გამოქვეყნების სამმართველო
სამმართველოს უფროსი
ირაკლი კოპალიანი

ი. კოპალიანი